გიორგი ქართველიშვილი

„არც ერთი საზოგადო საქმე არ დაწყებულა ჩვენში, რომ გიორგი დავითის-ძეს [ქართველიშვილს] დახმარება არ აღმოეჩინოს. იმის ცხონებული და მადლიანი მარჯვენა ყველას შემწეობასა და შველას უჩენდა“

გაზეთი „ივერია“

ყველა სახლს თავისი ისტორია აქვს - ზოგი მნიშვნელოვანი, ზოგიც უმნიშვნელოდ, თითქოს შეუმჩნევლად აგრძელებს ცხოვრებას აღსასრულამდე. ხშირად, ხახლში ერთ დროს მნიშვნელოვანი ფაქტები თუ მოვლენები სადღაც ქრება, უფრო ზუსტად, კი არ ქრება, დროებით მიეცემა დავიწყებას. შემდეგ კი, კვლავ დგება მისი გამოცოცხლებიხ დრო. რომის ქუჩაზე მდებარე ხახლიც ასეთია. შენობის შესასვლელთან აბრაზე ვკითხულობთ, რომ ამ ხახლში ცხოვრობდა ოფთალმოლოგი შატილოვი. ნამდვილად ასეა, თუმცა თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული შენობის თავდაპირველი დამკვეთი და მეპატრონე გიორგი ქართველიშვილია – ქართველი მეცენატი, რომელმაც ქართული ბიზნესისტორია შექმნა.

გიორგი ქართველიშვილი – პირველი გილდიის ვაჭარი, XIX საუკუნის ქართული სამეწარმეო და საგანმანათლებლო ცხოვრების ერთ-ერთი მწიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. ის, 1827 წელს, თბილისში, დავით ქართველიშვილის ოჯახში დაიბადა. სამწუხაროდ, არაფერი ვიცით მის ბავშვობასა და ყრმობაზე, თუმცა ისტორიამ შისი სახელი შეშოინახა, როგორც სავაჭრო საქმის უბადლო მცოდნისა და მეცენატის, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

გიორგი ქართველიშვილი მსხვილ სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა და პირვველი გილდიის ვაჭრის წოდებას ატარებდა, რაც რუსეთის იმპერიის კომერციაში უმადლვს აღიარებად ითვლებოდა. ქართველიშვილის ძირითად საქმიანობას ხის გადამამუშავებელი ქარხანა წარმოადგენდა, რომელსაც თავის კომპანიონ ზეზემანთან ერთად უძღვებოდა.

ეს იყო პირველი ქარხანა საქართველოში, რომელიც ორთქლის ძრავებზე მუშაობდა. დამუშავებული ხე-ტყის ტრანსპორტირებისათვის, ქართველიშვილმა ატენსა და გორს შორის სარკინიგზო ხაზი გაიყვანა. სწორედ მის ქარხანაში დამუშავებული ხე-ტყე ხმარდებოდა კავკასიის რკინიგზის მშენებლობას. ქართველიშვილისა და ზეზემანის ქარხანაში 50-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. ქარხნის წლიური შემოსავალი 30-40 ათასი მანეთი გახლდათ, რაც იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას წარმოადგენდა.

მიუხედავად ფინანსური წარმატებისა, ქართველიშვილი და ზეზემანი ჰარმონიულად ვერ თანამშრომლობდნენ, რაც მათი განსხვავებული ხასიათისა და სურვილებით იყო განპირობებული. მაგალითისთვის ზეზემანის უცნაური ახი-

რება შეგვიძლია მოვიყვანოთ - დატყვევებული დათვი, რომელიც ატენის ქარხანაში, სპეციალურ გალიაში მას დათვი ჰყავდა დატყვევებული. არაბუნებრივი პირობების გარდა, მისი შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ხოლო ზეზემანი ამ თანხას საერთო ბიუჯეტიდან განკარგავდა.

სწორედ იმ პერიოდში, ქართველიშვილმა თბილისის გარეუბანში სამსართულიანი, მასშტაბური სახლი ააგო. ხის მოხარატებული აივნები მცირე ქუჩას გადაჰყურებდა, დასავლეთის მხარეს მდინარე ჩამოსდიოდა. საკმაოდ დიდი ზომის მიწის ნაკვეთზე განთავსებული შთამბეჭდავი სახლი მნახველს მიანიშნებდა, რომ მფლობელი მშენებლობისას არაფერს იშურებდა. სამწუხაროდ, სახლის მხოლოდ რამდენიმე ფოტოა შემორჩენილი, თუმცა მთავარი მაინც ამ სახლში განვითარებული ისტორიაა – რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვარი, ეროვნებით უნგრელი მიხაი ზიჩი სწორედ ამ სახლში, მისთვის მოწყობილ სახელოსნოში ხატავდა "ვეფხისტყაოსნის" ილუსტარციებს.

1880-იან წლებში, გიორგი ქართველიშვილმა, ვანო მაჩაბლის რეკომენდაციით „ვეფხისტყაოსნის" სპეციალური გამოცემა დააფინანსა. წიგნის გამოცემისას ახალი შრიფტი, სათაურის ასოები, ქართული ტაძრებიდან აღებული ორნამენტები და გასაფორმებელი ნახატები და გამოიყენეს. დასასურათებლად, მიიწვიეს მიხაი ზიჩი, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ დასთანხმდა გიორგი ქართველიშვილის წამოწყებას. მისი ილუსტრაციებით გაფორმებული ვეფხის-





ტყაოსანი 1888 წელს გამოიცა. ეს საკმაოდ შრომატევადი და ფინანსურად რთული საქმე სრულად იტვირთა გიორგი ქართველიშვილმა - წიგნის გამოცემაზე მან 12,000 მანეთი დაიხარჯა. გამოცემის სრული ტირაჟი კი, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა საჩუქრად და მისგან შემოსული თანხით სტამბის გამართვის საკითხი დააყენა. მოგვიანებით, ცალკე წიგნად გამოიცა რუსულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", რომელიც საქართველოში სტუმრად მყოფ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III მეუღლეს, მარია ფიოდოროვნას პირადად გიორგი ქართველიშვილმა გადასცა საჩუქრად.

მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული გამოცემა ფინანსურად მოგებიანი არ იყო, გიორგი აქტიურად აგრძელებდა მეცენატობას. 1885 წელს, ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორია გამოსცა (დიმიტრი ბაქრაძის რედაქტორობით). 1889 წელს - მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია". 1888 წელს, ქართველიშვილის დავალებით და ფოტოგრაფ ერმაკოვის მონაწილეობით, „საქართველოს ისტორიული ალბომი" შეადგინეს. ქართველიშვილი წიგნებით ასაჩუქრებდა უამრავ სასწავლებელს, ეხმარებოდა შეგირდებსა და სტუდენტებს, აფინანსებდა ძველი ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოებს. 1880-1884 წწ-ში, სწორედ მისი ფინანსური დახმარებით, ხელახლა აშენდა 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია. როგორც გაზე-

თი „ივერია“ აღნიშნავდა: „არც ერთი საზოგადო საქმე არ დაწყებულა ჩვენში, რომ გიორგი დავითის-ძეს [ქართველიშვილს] დახმარება არ აღმოეჩინოს. იმის ცხონებული და მადლიანი მარჯვენა ყველას შემწეობასა და შველას უჩენდა“. ქველმოქმედების გარდა, ქართველიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა: იგი იყო თბილისის ობოლთა მზრუნველობის თავმჯდომარე, 1880 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, 1882–1887 წლებში გამგეობის წევრი და ხაზინადარი, 1883-1885 წლებში ცნობილ ქართულ გაზეთ „დროებას“ გამოსცემდა. გიორგი ქართველიშვილი რუსეთის იმპერიის საპატიო მოქალაქის წოდებას ატარებდა – „Потомственный Почетный Гражданин Российской Империи“.

ნიკოლოზ ქართველიშვილის დიჰიჟორობით დაიდგა კომპოზიტორ ხევაზ გოგნიაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე“.

გიორგი ქართველიშვილი სამ მსხვილ ქარხანას ფლობდა შიდა ქართლში, სოფელ ატენსა და ხანდისში. პარალელურად, თევზითაც ვაჭრობდა, თუმცა ძირითადი სამეწარმეო საქმე სწორედ ხის გადამუშავება იყო. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, სკულპულოზურად აწყობილი საქმე ერთმა უსიამოვნო ფაქტმა ძლიერ დააზარალა. 1889 წელს, ატენის ხეობაში დიდი წყალდიდობა მოხდა, რამაც ორბელიანებისგან იჯარით აღებული ტყე თითქმის მთლიანად წალეკა. დამუშავებული მასალა ადიდებულმა მდინარემ გაიტაცა. აღნიშნულ ფაქტსა და წარმოების შეწყვეტაზე მთელი ქალაქი ალაპარაკდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძემ გაზეთ ОБЗОР-ის სტატიაში მეწარმეების ზარალის შესახებ საჯაროდ განაცხადა. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებიდან ნათელი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძეც აღშფოთებული იყო ამ ფაქტით, რადგან ზარალის საჯაროდ გამხელა მოიჯარეების ნდობის დაკარგვას ნიშნავდა. „მაშინ ხომ კომერციულ საქმიანობაში ნდობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა!“

მიუხედავად საკმაოდ სოლიდური ფინანსური კრახისა, გიორგი ქართველიშვილი აქტიურად განაგრძობდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მეცენატობას. მან საკმაოდ დიდი შეწირულობა გაიღო ქართული გალობის ნოტების დაბეჭდვისა და დაწყობის სასარგებლოდ, რომელიც ასეთივე წარმატებით მისმა ერთ-ერთმა შვილმა, ნიკოლოზ ქართველიშვილმა განაგრძო.

ნიკოლოზ ქართველიშვილმა მუსიკალური განათლება პარიზის კონსერვატორიაში მიიღო. თბილისში დაბრუნებული იგი მთლიანად საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩადაერთო. კერძოდ, თავისი ხარჯით დააკომპლექტა ახალგაზრდული გუნდი, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში მართავდა კონცერტებს. ის წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართულ დრამატულ საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ქართველიშვილის დირიჟორობით დაიდგა კომპოზიტორ რევაზ გოგნიაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტიწე". 1920-1921 წლებში, ის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კომისარი იყო. ნიკოლოზ ქართველიშვილმა მამისეული სახლი გადააკეთა, თუმცა კი არ დაანგრია, არამედ სწორედ ძველ სტრუქტურაზე დაფუძნებული ევროპული სტილით ნაგები ფასადი შექმნა. თბილისში, ეს იყო არტ-ნუვოს ყაიდაზე გაწყობილი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული შენობა, რომლის ხუროთმოძღვარიც ასევე ქართველი სვიმონ კლდიაშვილი გახლდათ.

საგულისხმოა ის, რომ ნიკოლოზმა მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ტრადიცია კვლავაც განაგრძო და სახლი ერთგვარ სალონად აქცია, რომლის ინტერიერის მორთვაზეც უცხოელი მხატვრები მოიწვია. სწორედ მათ შექმნეს სრულიად უჩვეულო ილუსტრაციები მითიური ჯუჯების



ცხოვრებიდან, ვენეციის პეიზაჟების თვალწარმტაცი ხედები თუ აღმოსავლური, მდიდრული ინტერიერი.

სახლი, რომლის ინტერიერიც წლების განმავლობაში იმალებოდა და ხელახლა გაცოცხლებას ელოდა, კვლავაც გვახსენებს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, გიორგი ქართველიშვილის დაწყებულ ამბავს. ამბავს ძლიერი ქართველი მეწარმისა, რომელმაც მთელი თავისი ქონება და სიცოცხლე იდეას – მეცენატობას შესწირა.



გამოყენებული წყაროები:

Дзуцова, И. Художественный облик старого Тбилиси, Стенная живопись. Вывески. ***Панорама искусств,*** Москва, (1990), Вып. 13